ცნობის ფურცელი

№ 2039 ორშაბათი, 13 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2039

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ნ. ზ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

მ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ფრ. მ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და „სვედიშ გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკონაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

ე ქ ი მ ი
დავით ალექსანდრეს ძე
გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

[illegible] ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, სა[illegible] კრუგლოვის პირდაპირ. (45—44)

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის
კიოსკში
იყიდება 1903 წლის
კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი ყუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის მაზრის **თავად-აზნაურთა საზოგადო კრება** [illegible] და სხვა საქმეების განსახილველად დანიშნულია ამა მიმდინარე წლის 1 თებერვლისათვის.

◆ დღეს, 13 იანვარს, ტფილისის ქალაქის **საბჭოს მორიგ სხდომაზე**, დარჩენილ 14 საქმის გარდა, განსახილველად დანიშნულია კიდევ 14 ახალი საქმე. სხვათა შორის, საბჭომ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: 1) წინადადება ტფილისის გუბერნატორისა ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომიტეტის აღმასრულებელ კომისიად გადაკეთების შესახებ; 2) მოხსენება კომისიისა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების საუკეთესოდ მოკირწვლის შესახებ იმ 600,000 მან., რომელიც ქალაქმა სესხად მიიღო ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან; 3) მოხსენება ქალაქის გამგეობისა დაეთმოს სამხედრო და მიხეილის საავადმყოფოებს ნავთლუღში სასაფლაოსათვის საჭირო ადგილები; 4) განცხადება თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილისა აღნიშნულ იქმნეს ქალაქის გამგეობისაგან რუსეთის პრესსის 200 წლის შესრულების იუბილეი 2 სტიპენდიის დაარსებით ტფილისის საშუალო სასწავლებლებში და ერთის კრაოტისა მიხეილის სამკურნალოში; 5) განცხადება ა. ფურცელაძისა პატივი სცენ რუსეთის გამოჩენილ მწერლის ნ. ა. ნეკრასოვის სახელს რაიმე მის სახელობის დაწესებულების შექმნით; 6) არჩევანი ქალაქის დამფასებელ კომისიის წევრთა; 7) არჩევანი ქალაქის ლომბარდის გამგისა და სხვ.

◆ ტფილისის საბჭოს **ხმოსანმა** ა. ს. ბაბოვმა განცხადება შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში, რომ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნეს 2,400 მან., რომლითაც ქალაქის განაპირა მცხოვრებთათვის მოეწყოს **საავადმყოფო**. გამგეობა ამ განცხადებას ამ დღეებში განიხილავს.

◆ საქართველოს ბევრ სოფლებში საეკკლესიო მიწები სახელმწიფოდ იქმნა ჩარიცხული. აღნიშნულ მიწებზე მცხოვრებნი საეკკლესიო გლეხები სახელმწიფო გლეხებად იქმნენ ჩარიცხული, მაგრამ **გადასახადს** აქამდე ძველის წესის თანახმად იხდიან. ბევრმა ასეთ მდგომარეობაში მყოფმა გლეხმა თხოვნით მიჰმართა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულს, ბ-ნ მედვედიევს, განთავისუფლებულ იქმნენ ძველ გადასახადების ვალდებულობისაგან, რათა ამ მხრითაც გაუთანასწორდნენ სახელმწიფო გლეხებს.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს** უთხოვნია მთავარ-მართებლისათვის შუამდგომლობა აღძრას მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე ამის შესახებ, რომ საზოგადოებას მიეცეს ფული საუბილეო გამოფენის დროის ვალის გასასტუმრებლად.

◆ გუშინწინ, 11 იანვარს, პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, წყლის მილი გაკეთდეს ბატარეინი ქუჩაზეო, რადგან უმისოდ ამ ქუჩაზე დიდი ტალახი დგება და მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი არიანო.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადო კრება

(შემდეგი*)

9 იანვარი

სხდომა დაიწყო დილის $11^{1}/_{2}$ საათზე ა. გ. ცეიტლინის თავმჯდომარეობით. მდივანმა წაიკითხა წინა დღის ოქმი.

ი. კაკაბაძე: გუშინ მე ვითხოვე ტელეგრამით გვეშუამდგომლა მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე, რომ ნება მოეცათ კრებაზე მსჯელობა ქართულად ყოფილიყო. ეს წინადადება სრულიად გამოტოვებულია ოქმიდან. მე დღესაც ვთხოულობ, რომ ტელეგრამა იქნეს გაგზავნილი, მით უმეტეს, რომ დღევანდელმა ჩვენმა თავმჯდომარემ ძლიერ კარგად იცის ქართული.

თავმჯდომარე უარს აცხადებს ასეთის ტელეგრამის გაგზავნის შესახებ, რადგან ამ შუამდგომლობაზე ერთხელ უკვე მოვიდა უარი სამინისტროსაგანო.

ნ. გ. ჭიჭინაძე: მე არ მქონია ბედნიერება, რომ თავიდან მომესმინა გუშინდელი ოქმი, მაგრამ, რაც მოვისმინე, იქიდანაც დავრწმუნდი, რომ ოქმი ძლიერ ცალმხრივადა და მიდგომითაა შედგენილი.

ხმები: „ტყუილია, ოქმი ძლიერ მიუდგომლად და თითქმის სტენოგრაფიულის სინამდვილით არის შედგენილი".

ნ. გ. ჭიჭინაძე: როდესაც ბ-ნმა ზდანოვიჩმა დაცინვით ჟურნალისტი უწოდა ბ-ნს კაკაბაძეს, თუნდ გაზეთ „კვალი"-ს თანამშრომელიო, მე შევნიშნე, რომ ყოფილს ჟურნალისტს ძილშიაც კი ეჩვენება გაზეთი „კვალი"-მეთქი. ეს სიტყვები ოქმიდან გამოტოვებულია.

თავ. ი. აბაშიძე: ბ-ნს ჭიჭინაძეს ეგ არ უთქვამს.

ნ. გ. ჭიჭინაძე: ნუ ღრიალებთ და ნუ მაწყვეტინებთ სიტყვებს.

თავ. ი. აბაშიძე: ეგ რა ზრდილობიანი პასუხია! ვიღაც ექიმი ჭიჭინაძე მასხარად იგდებს მთელს კრებას.

გ. გ. ემერიკი: ბ-ნ ზდანოვიჩის სიტყვები მართლაც სტენოგრაფიულის სინამდვილითაა მოყვანილი, ჩემი კი ან გამოშვებულია მთლად, ან ძლიერ შემოკლებული. მე გუშინ სრულიადაც არ მითქვამს, ვითომ საბჭოს წევრები სტიპენდიის დანიშვნის დროს მიდგომილებას გამოიჩენენ-თქო; მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ საზოგადოდ კაცის აგებულება ისეთია, რომ შემწეობას თავის ნაცნობსა და ნათესავებს უფრო აღმოუჩენს, ვიდრე გარეშეს, თუნდ უკანასკნელი უფრო გაჭირვებულიც იყოს მეთქი.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ოქმში გამოტოვებულია ჩემი სიტყვებიც: როდესაც ბ-ნმა კაკაბაძემ სთქვა, თვით-მმართველობის შემოღებას ხარჯის სუნი უდისო, მე ვუპასუხე, სამაგიეროდ ეგ სუნი ძლიერ სასიამოვნოა მცხოვრებთათვის მეთქი.

ოქმი დაამტკიცა კრებამ.

თავ. კ. ბ. თუმანიშვილი: გუშინ გადაწყდა, აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ ჭიათურის საფოსტო კანტორას ნება მიეცეს რაოდენობის განუსაზღვრელად ფულის გაგზავნ-გამოგზავნისა. რადგანაც ჭიათურაში ხშირად ძლიერ საჭიროა წვრილი ფული, ამისათვის, ჩემის აზრით, საჭიროა ვიშუამდგომლოთ იმის შესახებაც, რომ საფოსტო კანტორას ხურდა ფულიც ექმნეს.

კრებამ მოიწონა წინადადება და ერთხმად მიიღო.

ფ. კიკნაძემ განაცხადა, რომ ბევრს, რომელნიც გულდაწყვეტილნი დაგვყურებენ ქანდარიდან, აქვთ კრებაზე ლაპარაკის უფლება, თუმცა ხმით სარგებლობა კი არ შეუძლიანთ. ამიტომ კარგი იქმნება, რომ მათთვისაც მსჯელობის ნება მიგვეცაო.

ამის დასამტკიცებლად იმან წესდების რამდენიმე მუხლი წაიკითხა. შემდეგ კიდევ ჩამოვარდა ლაპარაკი, კომისიები ამოვირჩიოთ ამა თუ იმ საკითხის გასარჩევად, თუ მხოლოდ თავმჯდომარეები ავირჩიოთ და იმათ ვინც უნდათ, ის მიიწვიონო. ზევრი ილაპარაკეს, მაგრამ მაინც ვერა და ვერ შეთანხმდნენ, ასე რომ თავმჯდომარე იძულებული გახდა რამდენისამე წამით სხდომა შეეწყვიტა.

სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარე გადავიდა პროგრამის მესამე მუხლზე და სთხოვა კრებას დაასახელოს კომისიის თავმჯდომარე ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. ბ-ნმა ცერცვაძემ ითხოვა, რომ ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად კომისიის თავმჯდომარედ თვითონ საბჭო იქმნეს, რომლისაგანაც ხარჯთ-აღრიცხვაა შედგენილიო. დ. ნ. ბაქრაძის აზრით, უკეთესია ამ საქმეში საბჭო სულ არ გაერიოს; ამით კომისიას მეტი თავისუფლება ექმნება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროსო.

გ. გ. ემერიკი: საბჭომ თავისი უკვე ჰქმნა და ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა, ეხლა კი იმის მიერ მონაწილეობის მიღება აღარაა საჭირო. უკეთესი იქმნება ისეთმა კაცებმა განიხილონ, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ შედგენაში.

გ. ფ. ზდანოვიჩი: მე კომისიის არჩევის წინააღმდეგი არ ვარ; მხოლოდ ბ-ნ ემერიკის აზრთა წინააღმდეგობა კი ძლიერ მაკვირვებს: თუ საბჭოს არ შეუძლიან მის მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაში მონაწილეობის მიღება, მაშ არც ბ-ნს ემერიკს უნდა შეეძლოს მისგან შედგენილ მოხსენების განხილვაში თავმჯდომარედ დარჩეს.

ბ-ნი გამყრელიძე: ჩვენ კომისიებს იმისთვის ვირჩევდით, რომ გვეგონა, საქმეს უფრო მალე გავათავებდით, მაგრამ, როგორც ეხლა დავრწმუნდი, საქმე კიდევ უფრო გრძელდება; ამიტომ, ჩემის აზრით, არავითარ კომისიის არჩევა არაა საჭირო.

ბ-ნი აგგერანი: ხარჯთ-აღრიცხვას მომავალ საბჭოსთვის ვადგენთ. მაშ აქ არც მიდგომასა და არც გავლენას ადგილი არა აქვს. ტყუილად ლაპარაკით დროს ნუ ვკარგავთ.

თავ. ი. ბ. ნიჟარაძე: ის მაინც უნდა გავიგოთ, მთელი საბჭო იქმნება თავმჯდომარედ, თუ საბჭოს ერთი წევრი.

კიდევ შეიქმნა კამათი იმის შესახებ, როგორ გადასწყდეს ეს საქმე—უბრალოდ, ხმების შეკრებით, თუ კენჭის ყრით.

თავმჯდომარემ შეუძლებლად დაინახა ამ საკითხის კენჭის ყრით გადაწყვეტა, რადგან ხმები კიდევ არაა გადასინჯულიო. ბ-ნი ზდანოვიჩი და ზოგიერთი სხვებიც თხოულობენ დახურულ კენჭის ყრით გადასწყდეს საქმე. თავმჯდომარემ დასტოვა თავის სავარძელი და სხდომა რამდენისამე წამით შესწყვიტა სხდომის განახლების შემდეგ გამოაცხადა, რომ შაბათამდის სხდომები უნდა შესწყდეს, რადგან ხმები კიდევ არაა გარჩეულიო.

ფ. კიკნაძემ მოითხოვა, რომ საკითხი ხმების შეკრებით გადასწყდეს.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ნეტა ვისთვის იქმნება სასარგებლო, რომ სხდომები შესწყდეს შაბათამდის? რა საჭიროა ტყუილად დროს დაკარგვა!

თავ. დ. ი. დუმბაძე: ამას შავი ქვის მწარმოებელთა ინტერესი მოითხოვს. ოღონდ საქმე ნუ წახდება, და ჩვენ მზადა ვართ მეტი დრო დავკარგოთ.

გ. ფ. ზდანოვიჩი: თავ. ლეონიძე შავი-ქვის მწარმოებელი არაა, და მიკვირს, რომ მთელი კრების მაგიერად ის აგებს პასუხს?

თავმჯდომარე კიდევ აცხადებს, რადგან ვერ შეთანხმდით, მე იძულებული ვარ ხმების შემოწმებამდის სხდომები შევსწყვიტოო.

ს. ი. წერეთელი და სხვები თხოულობენ, რომ კითხვა წევრთა ადგომით გადასწყდეს.

გ. ფ. ზდანოვიჩი: თუ კრება ისურვებს, ჩვენ შეგვიძლიან ხარჯთ-აღრიცხვა დავაბეჭდვინოთ და წევრთ დავურიგოთ. ხმები: „ძლიერ კარგი იქნება, მეტი არაფერია საჭირო".

ერთხმად მიღებულ იქმნა ბ-ნ ზდანოვიჩის წინადადება. შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, ინებებთ თუ არა, რომ მადანზე დადებული გადასახადი გავადიდოთო, მაგრამ კრებამ ერთხმად უარი განაცხადა, ეხლანდელს გაჭირვებულ მდგომარეობაში არსებულ გადასახადიც გვედიდება, არამც თუ კიდევ მივუმატოთ იმასაო.

თავმჯდომარემ დაასახელა ისინი, ვინც კომისიის თავმჯდომარედ იქმნებიან ამა თუ იმ საკითხის გარჩევის დროს.

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2038.

1. ბ-ნს ჩერნევსკის მიენდო შავი-ქვის სარეცხ ქარხანის დასაარსებლად მოხსენების წაკითხვა და იმის განხილვის დროს კომისიის თავმჯდომარეობა.

2. ბ-ნმა ზდანოვიჩმა იკისრა მოხსენება ქიმიურ ლაბორეტორიის დაარსების შესახებ.

3. საქმე სტიპენდიების დაარსების შესახებ მიენდო დ. ნ. ბაქრაძეს.

4. მოხსენება ჭიათურის მადნიან ადგილების გეოლოგიურ რუქის შედგენის შესახებ მიენდო ინჟინერს ბ-ნ საპეცკის.

5. მოხსენება ტარიფის დაკლების შესახებ—გ. გ. ემერიკს.

6. ორი საკითხი—ნაფიც მწონელთა ინსტიტუტის დაარსებისა და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ მიენდო ბ-ნს ცერცვაძეს, და სხ.; სულ არჩეულ იქმნა თერთმეტი თავმჯდომარე სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. კომისიის წევრთ თვითონ თავმჯდომარენი იწვევენ; გარდა ამისა, თავის სურვილითაც ყველას შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს რომელსამე საქმის განხილვაში. დასასრულ ჩამოვარდა ლაპარაკი საბჭოსთვის „наказъ"-ის შემუშავებაზე. თავმჯდომარემ ითხოვა, რომ ამ საგნისთვის კომისია აერჩიათ. კრებამ გადასწყვიტა: დაევალოს მომავალ საბჭოს, რომ შეიმუშაოს „наказъ"-ი და მრეწველთა შემდეგს კრებას წარუდგინოს.

10 იანვარი

სხდომა დაიწყო 11 საათზე. საზოგადოებას თითქმის დილიდანვე დაეჭირა ადგილები, უფრო ქალებს ლოჟები, ასე რომ ზარბაზნითაც კი ვერავის დასძრავდი. საწყალი კორესპონდენტები, რიცხვით ათ კაცამდე, ერთ ლოჟაში მოუმწყვდევიათ და, დასაჯდომი ალაგი რომ ვერ უშოვიათ, ფეხზე დგანან. მდივანმა ოქმი წაიკითხა. „როგორც თავმჯდომარეობაში ლუკა ასათიანისთანა არ მოინახებოდა, ისე მდივნობაში დ. მდივანს ვერავინ შეედრება; უთუოდ სტენოგრაფია იცისო", ამბობდნენ ლოჟაში. ოქმის წაკითხვისათანავე წამოხტა ბ-ნი ემერიკი, ოპოზიციის ეს ერთად-ერთი ორატორი, რომელსაც, ეტყობა, საქმის ცოდნაცა აქვს და თავიანი ლაპარაკიც შეუძლიან, მხოლოდ ხანდახან კი—ჩვენ შორის იყოს და—სწორედ ძლიერ უყვარს ჰანგების შეცვლა: ხან გრძნობას მიმართავს, ხან სინიდისს, ხან საზოგადო ინტერესებს და სხვ.-და-სხვა; დიახ, წამოხტა ბ-ნი ემერიკი და ვსთქვა: „გუშინ თავმჯდომარემ განაცხადა, რადგან ვექილობების განხილვა ვერ მოვასწარით, ამიტომ იძულებული ვარ შაბათამდის სხდომები შევსწყვიტოო. ამის გამგონე მეც ავდექი და წავედი. შემდეგ კი სხდომა განუგრძიათ. ეს, ჩემის აზრით, უკანონობაა. გთხოვთ, ჩემი შენიშვნა ოქმში შეიტანოთ".

თავმჯდომარე: მართალია, პირველად ვსთქვი მე ეგა, მაგრამ შემდეგ პირობები შეიცვალა და საჭიროდ არ ვცანი კრების შეწყვეტა. თქვენს გარდა არც მე და არც სხვა ვინმე არ წასულა სხდომის გათავებამდის. ყოველ შემთხვევაში, ვინც წავიდა სხდომის გათავებამდის, ვსთხოვ წამოდგე.

დგება რამდენიმე კაცი.

ბ-ნი იაშვილი: ბ-ნი ემერიკი, როგორც თვითონ განაცხადა, ავად იყო და იმისთვის წავიდა და არა თავმჯდომარის სიტყვების გამო.

ბ. გ. ემერიკი: მე თვითონ თავმჯდომარეს განვუცხადე, შეუძლოდა ვარ და, თუ დღეს საქმეების განხილვა არ იქმნება, შინ წავალ მეთქი. იმან მითხრა, დღეს მეტი არაფერი იქმნებაო, და მეც წავედი.

ბ. ფ. ზდანოვიჩი: როგორც ექიმის ჭიჭინაძის, ისე ჩემის ინტერესისთვის უნდა ვსთქვა, რომ გუშინდელ ოქმში ვითხოვე ჩაემატებინათ ჩემი სიტყვები: „მე ბოდიშს ვიხდი საზოგადოების და არა ბ-ნ ჭიჭინაძის წინაშე, რომელმაც დაიმსახურა ჩემი სიტყვები-მეთქი"; გთხოვთ დღეს მაინც იქმნეს ოქმში შეტანილი. შემდეგ ბ-ნ ემერიკის შესახებ ვსთქვი, რომ ის საზოგადოებას „კომპლიმენტს" უძღვნის-მეთქი". რაც შეეხება ბ ნ ემერიკის საყვედურს, თითქოს იმისთვის წავიდა იგი კრებიდან, რომ თავმჯდომარემ სთქვა, შაბათამდის სხდომები შეწყდებაო, ამის შესახებ შემდეგი უნდა მოგახსენოთ: როდესაც თავმჯდომარემ შაბათამდის სხდომების გადადება გამოაცხადა, მე შევეკითხე იმას, ვისი ინტერესები თხოულობს ამ გადადებას-მეთქი? რადგან, ვიცოდი, ბ-ნი ემერიკი შეუძლოდ იყო, მეგონა სხდომის გადადებაც იმის გულისთვის ხდებოდა. გარდა ამისა, ეხლა, როდესაც თავმჯდომარემ იკითხა, ვინ წავიდა გუშინ სხდომის გათავებამდისო, ბ-ნი ჩერნევსკიც წამოდგა, რომელიც სხდომის გათავებამდის სულ აქ იჯდა. დასასრულ, ვითხოვ შეტანილ იქმნეს ოქმში ჩემი გუშინდელი სიტყვები თავ. ლეონიძის მიმართ: „მიკვირს, რომ თავადი ლეონიძე კისრულობს მთელის კრების წარმომადგენლობას, როდესაც იმას ხმა არა აქვს-მეთქი".

თავ. ლეონიძე: მაშ ჩემი პასუხიც შეტანილ იქმნას ოქმში, რომელიც ბ ნ ზდანოვიჩს მოვახსენე: ბ-ნ ზდანოვიჩს ის უკვირს, რომ დღეს ხმა არა მაქვს და აქ ვზივარ, თვითონ კი იმას არასოდეს არა ჰქონია ხმა.

ი. პ. კაკაბაძემ იკითხა, დაგვირიგებენ თუ არა დაბეჭდილ ხარჯთ აღრიცხვასო.

ბ. ფ. ზდანოვიჩი: სტამბაში უკვე მიეცით დასაბეჭდად და მალე იქმნება.

თავ. ი. ბ. ნიჟარაძე: თავმჯდომარის შეკითხვის დროს ს. ა. ქვარიანიც ადგა, რომელსაც ხმა არა აქვს.

ნ. გ. ჭიჭინაძე: სხდომის რამდენისამე წამით შეწყვეტის შემდეგ ბ ნმა თავმჯდომარემ განაცხადა, შაბათამდის სხდომა არ იქმნებაო და, სხვათა შორის, მეც შინ წავედი.

თავ. დ. გ. წულუკიძე: მე მიკვირს, რისთვის იწერება ოქმში ყველაფერი ეს! ნუთუ მომავალ თაობისთვის, რომ გაიცნოს, როგორი მსჯელობა იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმაო?!

თავმჯდომარემ გამოაცხადა, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან ტელეგრამა მოვიდა, რომლითაც ბ-ნი მინისტრი გვაცნობებს, ვექილობების მიღება კრების გათავებამდის განაგრძეთო.

ბ. ფ. ზდანოვიჩი: თავმჯდომარემ, როგორც იმას სამინისტროს მიერ ჰქონდა უფლება მინიჭებული, კრებამდის ერთის თვის წინ გამოაცხადა ჟურნალ-გაზეთებში ამა და ამ დროს მოხდება მრეწველთა კრება ქუთაისში და, ვისაც ვექილობების წარმოდგენა უნდა, სამის დღით ადრე უნდა წარმოადგინოსო. (ბ- ემერიკი რაღაც ლაპარაკს დაიწყებს) გვაცალეთ, გვაცალეთ, გუსტავ გუსტავისძევ! ნუ ღელდებით და ნუ გვიშლით ლაპარაკს, თორემ მეც ამაღელვებთ და უქეიფოდ არ შეიქმნეთ! ბ-ნი ემერიკი სხვას უწუნებს აღელვებას. თვითონ კი პირველად ღელდება და სხვასაც აღელვების მიზეზს აძლევს... ვისაც შავი-ქვის საქმეები აინტერესებდა, ერთი თვე სრულიად საკმაო იყო ვექილობათა წარმოსადგენად. ეხლა კი ვიღაცას ტელეგრამით მიუმართავს სამინისტროსათვის და უთხოვნია ვადის გაგრძელება ვექილობათა მისაღებად, მაგრამ რა სარგებლობისათვის, ეს კი არ ვიცი.

ბ. გ. ემერიკი: ეს „ვიღაცა" მე გახლავართ, მე ვიღებ ჩემს თავზე ამ დანაშაულობის ჩადენას. §§ 6 და 34 ძალით ჩვენ შეგვეძლო გვეთხოვნა სამინისტროსათვის ვადის გაგრძელება, ვთხოვეთ და ნება-რთვაც მოგვივიდა. აქ არავითარ უკანონობის ჩადენას არ ვხედავთ. იქმნება ბ-ნ ზდანოვიჩს არ მიაჩნდეს ეგ საჭიროდ, მაგრამ ბევრისათვის ძლიერ საჭიროცაა.

თავ. ბ. წულუკიძე: თუ შეიძლება, გთხოვთ ტყუილა ლაპარაკს თავი დავანებოთ და საქმეს შევუდგეთ.

თავმჯდომარემ შემდეგ წინადადება მისცა ინჟინერს ბ-ნ ჩერნევსკის წაიკითხოს თავისი მოხსენება ჭიათურაში შავი-ქვის სარეცხ ქარხნის დაარსების შესახებ. მოხსენების ავტორმა თავის გრძელ წინასიტყვაობით გააცნო საზოგადოებას ჭიათურის შავი-ქვის ისტორია; შეეხო იმ ბარბაროსულ წესს, რომლითაც მწარმოებელნი მიწის გულიდან იტაცებენ ძვირფასს მადანს; სთქვა, თუ რა თვალთ-მაქცობითა დმოტყუილებით სწარმოებს ვაჭრობა შავი-ქვის სამეფოში უცხოელთა და საზოგადოდ ექსპორტერთა სასარგებლოდ და წვრილ უმწეო მწარმოებელთა საზარალოდ. ავტორმა სთქვა შემდეგ, ჭიათურის შავ-ქვას არ შეუძლიან მეტოქობა გაუწიოს ბრაზილიისა და ინდოეთის ამგვარსავე მადანს, თუ რამ ღონისძიება არ ვიხმარეთო. ერთ საუკეთესო ღონისძიებად დაასახელა შავი-ქვის გასარეცხ-გასაწმენდად ქარხნის დაარსება ჭიათურაში, მდ. ყვირილის ნაპირზე, რკინის გზის გვერდით. ამით ქვას ღირსება მოემატება და გაზიდვაც ერთი-ორად გაგვიადვილდება, რადგან უვარგისი ნივთიერება მადანს აღარ გაჰყვებაო. მოხსენების ავტორის აზრით, მაშინ თამამად შეიძლება ისეთი მადანი მივიღოთ, რომელშიაც საშუალო რიცხვით 54% წმინდა ლითონი იქმნება, ეხლანდელ 48% 50%-ის მაგიერადო. შემდეგ ბ-ნმა ჩერნევსკიმ ციფრებით აღნიშნა, რა დაჯდება ქარხნის გამართვა ერთდროულად და ყოველ-წლიურად რა დასჭირდება. ბოლოს, როდესაც შემოსავალი და გასავალი ერთმანერთს შეუფარდა, ავტორმა სთქვა, რომ ყოველ ფუთ შავ-ქვაზე პატრონს ეხლანდელთან შედარებით თითო შაური მოგება დარჩებაო. მოხსენების წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, სხდომა 11 იანვრის დილის 11 საათისათვის გადაიდვაო.

დონ-ვალიანი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 იანვარი

ლოძი. ყალბის ფულის მომჭრელები დაიჭირეს. უმთავრესმა დამნაშავემ დატუსაღების დროს თავი მოიწამლა და გარდაიცვალა.

სოფია. საერთო კრებამ ხელ-ახლად დაიწყო სხდომები. თავმჯდომარემ შეატყობინა კრებას: რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა სადიპლომატიო აგენტს ბახმეტიევს მიანდო, ჩემ მაგიერ მადლობა გადაუხადეთ კრებას სახელწოდების გამო მილოცვისათვისაო.

პარიჟი. ბიუჯეტის განხილვის დროს პალატაში ჟორესმა სიხარული გამოსთქვა 31 წლის მშვიდობიანობის გამო და დაუმატა: იმედი მაქვს, ეს მშვიდობიანობა ორსავ ევროპიულ კავშირის მეოხებით არც დაირღვევაო; ჟორესი დარწმუნებულია, რომ სამთაკავშირი საფრანგეთზე დაცემას არა ჰფიქრობსო.

კარაკასი. ხმა დადის, დაგუაირაში მოსულმა ჰოლანდიის ჯავშნიანმა გემმა კუნძულ რონსზე 17 კაცი იპოვა შიმშილისაგან გადაცვალებული, რადგანაც ბლოკადის გამო კუნძულზე სანოვაგე ვერავის მოჰქონდა.

მარაკაიბო. გერმანელები კიდევ ზარბაზნებს ესვრიან სანტ-კარლოსს, მაგრამ სანტ-კარლოსი ჯერ მაგრაა. მარაკაიბოს მცხოვრებლები აღელვებულები არიან გერმანელების წინააღმდეგ.

ვაშინგტონი. რუზველტმა პანამის არხის თაობაზე ხელ-შეკრულობა წარუდგინა სენატს დასამტკიცებლად. ხელ-შეკრულობის ძალით კოლუმბიას 10 მილიონი დოლარი უნდა მიეცეს ერთბაშად და 250 ათასი ყოველ-წლად ქირით. კოლუმბია შეერთებულ შტატებს 6 მილის სიგანე ნაჭერ ადგილს უთმობს; შტატებს უფლება აქვთ დათმობილ ადგილის დასაცველად ჯარები გაჰგზავნონ ხოლმე. ხელ-შეკრულობა 100 წლითაა დაწერილი და თუ შტატებმა მოისურვეს, ვადის შემდეგ კიდევ ხელ-მეორედ დაიწერება. შტატებს უფლება აქვთ აგრეთვე არხში გამვლელ გემებზე ბაჟი აიღონ. სენატმა ეს ხელ-შეკრულობა გარეშე საქმეთა კომისიას გადასცა განსახილველად.

ბერლინი. პატარა თეატრში გუშინ წარმოადგინეს შოლცისაგან გერმანულად გადათარგმნილი გორკის პიესა „ნა დნე". საზოგადოებას ძლიერ მოეწონა პიესა, გაზეთებიც აქებენ.

ბერლინი. კომანდორ შედერის ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ 4 იანვარს, როცა მარაკაიბოს თხელ-წყალში მიდიოდა, გემ „პანტერს" უცებ ზარბაზნები ესროლეს სიმაგრე სანტ-კარლოსიდან. „პანტერ"-იც ნახევარ საათს ესროდა ზარბაზნებს და როცა სროლას გაანება თავი, მაშინვე შეუდგა სიმაგრის დასჯას დაცემისათვის, მით უფრო რომ ვენეცუელის მთავრობამ ეს დაცემა სამხედრო გამარჯვებად ჩასთვალა. 9 იანვარს „პანტერ"-მა და „ვინეტა"-მ ზარბაზნები ესროლეს სანტ-კარლოსს და დაანგრიეს.

პეტერბურგი. ხელმწიფე-მემკვიდრე და გერმანიის მემკვიდრე პრინცი ნოვგოროდს წავიდნენ, იქიდან პრინცი საზღვარ-გარედ წავა. დიდმა მთავრებმა გააცილეს.

12 იანვარი.

პეტერბურგი. გამოვიდა პირველი ნომერი „ვეჩერნ. გაზეთი"-სა. რედაქტორი აბაზაა.

1903 წლის 1 თებერვლიდან ფოსტით შეიძლება გაიგზავნოს ფასიანი ამანათები, 45,000 მანეთამდე დაფასებული.

სოფია. საბჭომ განაგრძო სხდომები. მთავრობამ წარადგინა პროექტი სავაჭრო კონვენციისა სერბიასთან.

ივანოვის საქმე გასარჩევად დანიშნულია უმაღლეს სასამართლოში 1 თებერვალს.

ბოლგარიისა და რუმინიის მმართველობამ დანიშნეს საერთო კომისია დუნაიზე მყოფ კუნძულების შესახებ ატეხილ დავის განსახილველად.

სუვალკი. დღეს დასრულდა სხდომები სამეურნეო-სამრეწველო კომიტეტისა.

ლონდონი. გერმანიამ, ინგლისმა და იტალიამ დაავალეს თავ-თავიანთ წარმომადგენელთ ვაშინგტონში ყოველი მათგანი ცალკე შეთანხმდნენ ბოუენთან შესახებ ცნობილ მოთხოვნისა. მოლაპარაკება დაიწყო.

ბუხარესტი. დაატუსაღეს სახელმწიფო გზების მმართველობის ვიცე-დირექტორი პარიგიანო და საქმის მწარმოებელი დიმიტრესკო, რომელთაც ჰბრალდებათ ბოროტ-მოქმედება რუმინიის რენტის ტირაჟის დროს.

კანეია. აქ მოვიდნენ საბერძნეთის დედოფალი და პრინცი გიორგი.

ბელგრადი. როგორც ისმის, როდესაც მეფე-დედოფალი კრუშედოლსკის მონასტერში წავიდნენ სტუმრად, ეწვევიან იმპერატორს. ზიმლინში მათ დახვდება 20 იანვარს მთავარ-სარდალი.

ლისაბონი. რუსეთის ელჩი კოიანდერი მიიღო სადარბაზოდ მეფემ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ციფრებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ციფრებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს.21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს) 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 წ. 28 წ.).

განცხადებანი

ზოი
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
კურის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754. (წ.).

ცინკოგრაფია
წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
განქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Довв. ценз. Тифлисъ, 12 января, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).